



# შირაკი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.842)  
1 - 8 სექტემბერი 2018 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირული გამოცემა

## უმოწყალოდ გადამწვარი მიწის ნაკვეთები და განადგურებული ქარსაფარი ზოლები



გვ.3



გვ.4

შიდა გზების  
სამშენებლო  
სამუშაოები  
არბოშიკში

### მერკელის ვიზიტი და ხალხის აზრი...



გვ.2

### მითები და ლეგენდები

ტკივილით სავსე  
ჩვენი ისტორია

გვ.6

### თაობა

კანონიერი — სოფელი,

გვ.5

სადაც სამოვრების მართვას თემა იწყებს



გვ.4

მოძრაობი „პიანინოს“ ტურნე  
დედოფლისწყაროდან  
დაიწყო



გვ. - 8

ეს  
ჩვენი  
სახეა



# მერკელის ვიზიტი და ხალხის აზრი...

ამ დღეებში ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ვიზიტი გახლდათ, რომელსაც მთელი მსოფლიო ინტერესით ადევნებდა თვალს. რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი სტუმრობა საქართველოსთვის და რას მოუტანს მომავალში ეს ჩვენს ქვეყანას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ერთხელ კიდევ შევასხვებთ ჩვენს მკითხველს პრემიერ-მინისტრის მოკლე შეფასებას, ასევე გავაცნობთ, თუ რას ფიქრობს ამ ვიზიტზე ჩვენი საზოგადოება და რა მოლოდინები აქვთ სამომავლოდ.

**„გერმანია არის ჩვენი ერთგული მხარდამჭერი, ჩვენი მეგობარი ქვეყანა. მსურს, ქალბატონ კანცლერს გადავუხადო დიდი მადლობა, ის, მართლაც, გახლავთ საქართველოს დიდი გულშემოტიკი. ჩვენ ვისაუბრეთ ძალიან მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხებზე, რომელიც შეეხება რუსეთის აგრესიას, ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას, იძულებით გადაადგილებულ პირებს, იმ კატასტროფულ ჰუმანიტარულ მდგომარეობას, რომელიც არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსულ აგრესიას. ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარი ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე და დავსახეთ მიზნები, როგორ უნდა განვამტკიცოთ ეს თანამშრომლობა, როგორ დავუხსლოვით საქართველო უფრო მეტად ევროკავშირს. იცით, რომ ჩვენ ვმუშაობთ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტზე - ეს არის საგზაო რუკა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირთან და ამავე დროს ვისახავთ ამოცანებს, რათა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია კიდევ უფრო დაჩქარდეს. ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და ამას კარგად ვაცნობიერებთ, მაგრამ ჩვენ გვყავს მეგობრები, რომლებიც დაგვხმარებინან, რომ ეს მიზნები რაც შეიძლება მოკლე დროში იქნას მიღწეული“**-ეს პრემიერ ბახტაძის ვიზიტის შემდგომი გამომხატვრებაა.



ანა ბეჟაშვილი, ტელეკომპანია „ობიექტივის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი-ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი იყო გერმანიის კანცლერის ვიზიტი საქართველოში. სტუმრობის დადებით და უარყოფით მხარეებზე გადაჭრით საუბარი მიჭირს. ეს დრომ და ცვლილებებმა უნდა აჩვენოს. ერთი კია, გერმანიის კანცლერის, როგორც დიდი და დემოკრატიული ქვეყნის ლიდერის მხრიდან, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების სხენება და ოკუპაციის უსამართლობაზე საუბარი ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო. ამ მხრივ, სტუდენტებთან მისი საუბარი ყველაზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ქართველებისთვის და მისი ეს განცხადებაც დასაფასებელი. აღსანიშნავია მისი ვიზიტის სხვა,

ნაკლებად გახმაურებული მიზეზები, რომლებზეც ანალიტიკოსები საუბრობენ. საუბარია მის ვიზიტებზე აზერბაიჯანსა და სომხეთში. ასევე რუსეთში მისი და პუტინის შეხვედრაზე. დიდი ალბათობით მერკელი მოლაპარაკებებს ანარმოებს თურქეთისა და აზერბაიჯანის გაზსადენებთან დაკავშირებით, რომელთა საშუალებითაც გერმანიას გაზი უნდა მიენოდოს. საქართველო კი უნდა ჩაერთოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. ეს დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის ფინანსებზე და, რასაკვირველია, კარგია. ამჟამად გერმანიას რუსული გაზი მიენოდება და 40% - ს იყენებს. ფინანსურად გერმანიისთვის ძალიან მომგებიანია აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან გაზის მიღება საქართველოს გავლით. მისი ვიზიტი ვლადიმერ პუტინთან ასევე ბევრ კითხვას აჩენს. ამ ვიზიტს ოპოზიცია სკეპტიკურად უყურებს და ამბობს რომ საქართველოს თემა არ იქნებოდა ნახსენები, თუმცა, ვფიქრობ, ეს ასე არ არის. საქართველოს თემას მერკელი პუტინთან აუცილებლად ახსენებდა და ამას მისი კომენტარიც ცხადყოფს ოკუპაციის შესახებ. საქართველოს მთავრობა ლოგიკურია, რომ დიდ იმედებს ამყარებს მის ვიზიტზე. მიუხედავად იმისა, რომ მერკელმა საქართველოს ნატოში სწრაფი განვლიანება გამოიციხა, მისი ვიზიტის მთავარი თემა მაინც საქართველოს ინტეგრაცია ნატოსთან და ევროკავშირთან იყო. ამ საკითხის ცალსახად დადებითად ან უარყოფითად შეფასება კი ახლა შეუძლებელია.



მიხეილ ბახტაშვილი, საკრებულოს დეპუტატი, კომისიის თავმჯდომარე - სტუმრობა ისეთი ძლიერი და გავლენიანი პოლიტიკოსისა, როგორც ანგელა მერკელია, თავისთავად რეკლამაა ქვეყნისათვის. სახელმწიფოს ასაშენებლად მოტივაცია იზრდება - გხედავენ, სჯერათ შენი, მაშასადამე, არ უნდა შეჩერდე არსებულზე და იარო სულ წინ, შენს გვერდითაა ეკონომიკური სასწაულის შემოქმედი, მეორე მსოფლიო ომის ფერფლისგან აღდგენილი ევროპის ზემოქმადი ქვეყანა. სამომავლოდ შენ აღარ ხარ მართო და ასე ადვილად შეუძლებელია შენი მსოფლიო რუკიდან წაშლა. კიდევ უფრო მყარდება პერსპექტივა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განვლიანებისა.

ლალი იაკობიშვილი, მეორე საჯარო სკოლის დირექტორი-ანგელა მერკელის ვიზიტი საქართველოში, ვფიქრობ, უდიდესი მნიშვნელობის იყო. გამოჩნდა, რომ გერმანია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, გერმანიის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ვფიქრობ, რომ ასეთი მაღალი დონის პოლიტიკური



ურთიერთობები, რომელიც გერმანიასა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობაზეც და სამინაო-საგარეო პოლიტიკაზეც.



ლევან ალუღიშვილი, პოლიტოლოგი - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ვიზიტს საქართველოში შეგვიძლია ვუნოდოთ ისტორიული, რადგან ამ დონის პოლიტიკური ფიგურის ვიზიტი პირველია საქართველოში, 2005 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სტუმრობდა. ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიასთან ორმხრივი, მჭიდრო ურთიერთობების ზრდას და განმტკიცებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირთან და ნატოსთან. გერმანიის მთავრობის დახმარებით საქართველოში შეიქმნება გაზსაცავი, რაც ზრდის საქართველოს ენერგო უსაფრთხოებას, რაც პირდაპირი ნაბიჯია რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ასპექტიც, ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი დახმარებით, ჩვენ შევძლებთ დამატებით პროდუქტი შევიტანოთ მათ ბაზარზე, რაც ძლიერი სტიმული იქნება ქართული ეკონომიკისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, გერმანიის მთავრობასთან თანამშრომლობა სატრანსპორტო დერეფნების გაფართოება-შექმნის კუთხით, რომლებიც გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე და დამატებით დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას.



ქაბ ბათიაშვილი, ემიგრანტი ესპანეთში- საერთოდ, პოლიტიკური

თვალსაზრისით, არცერთი ქვეყანა რუსეთთან არ იფუჭებს ჩვენს გამოურთიერთობას, ასე მგონია, რაღაც მოვალეობის მიზნით მოინახულა ოკუპირებული ტერიტორიები, ისიც მხოლოდ ქართულ მხარესთან ერთად, სტუდენტმაც ძალით ამოათქმევინა, რომ რუსეთი ოკუპანტია, თან ისე ზერელედ თქვა, რომ არ ადარდებდა ეს ფაქტი, ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ხოლო, ეკონომიკური თვალსაზრისით გრძელვადიანი სესხის გამოყოფას რაც შეეხება, რატომაუნდა, კარგია ჩვენი ქვეყნისთვის, თუ ამასაც რაიმე პოლიტიკური დატვირთვა არა აქვს ამ წინასაარჩევნოდ... შეიძლება სკეპტიკურია ჩემი მოსაზრება, მაგრამ აქედან ასე ვხედავ...



რუსუდან ნადირაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი-ანგელა მერკელის ვიზიტს ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის არის არა მხოლოდ გერმანიის პოლიტიკური ლიდერი, არამედ ის არის ევროპული და მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური ლიდერი. აქედან გამოდინარე, მის მხარდაჭერას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მან, ამ ორი დღის განმავლობაში, გააჟღერა არაერთი ძალიან სერიოზული გზავნილი, რომელიც შეიცავდა საქართველოს მხარდაჭერაზე ძალიან კონკრეტულ მითითებას — ის მხარს უჭერს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და ამას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და ასეთი რთული გამოწვევების ფონზე, როდესაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია გერმანიის მხარდაჭერა, მათ შორის ევროკავშირში და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში ინტეგრაციის გზაზე, არის ძალიან მნიშვნელოვანი.

სასურველი იყო, ამ წონის ფიგურას, მოსკოვში პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის დროსაც დაეფიქსირებინა მკაფიო პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ რუსეთში ყოფნისას შეეხო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს, საქართველო არცერთხელ უხსენებია.

ასეთია ხალხის მოსაზრებები, რომელიც დღეს გავაცანი. თუმცა, გვექონდა პესიმისტური შინაარსის შთაბეჭდილებები და გამომხატვრები, თვით გერმანიაში მცხოვრები და პოლიტიკაში კარგად გარკვეული ჩვენი თანამეზაველებისგანაც, მაგრამ დღეს თავს შეგნებულად შევიკავებთ გამოქვეყნებისგან, რადგან მოსახლეობის უმეტესობა ამ ვიზიტს დადებითად უყურებს, არ გვინდა, მათ ეს განწყობა შეუცვალა, დანარჩენს დავულოდოთ, ხვალინდელ დღეს უკეთესი იმედით...

მომაზადა ელზა ხარაშვილი



# უმოწყალოდ გადამწვარი მიწის ნაკვეთები და განადგურებული ქარსაფარი ზოლები

მოსავლის აღებასთან ერთად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ნელ-ნელა ხანძრის რკალში ექცევა. შირაქის ველი, პრაქტიკულად, აღმია გახვეული. იგივე ხდება სილნალიდან დედოფლისწყაროსკენ მომავალ გზაზეც.

ადამიანები, რომლებსაც მოსავლის აღებისას ნამჯისგან მიწის ნაკვეთის გასანმენდად დამატებით თანხის გადახდა არ უნდათ (მათი თქმით, თვითღირებულებას აძვირებს), ამ ვანდალიზმს იმით ხსნიან, რომ მათი მამა-პაპაც ასე „ამუშავებდა“ მიწას. ამ „დამუშავებას“ ხშირად ქარსაფარი ზოლები ეწოდება, თავად დედოფლისწყარო კი, ქალაქიან-სოფლებიანად, ჭვარტლშია გახვეული.

ათწლეულებია, მიწა და გარემო ასე ნადგურდება, თუმცა, ხელისუფლება ვითარების შესაცვლელად ქმედით ნაბიჯებს, პრაქტიკულად, არ დგამს. შსს ამბობს, რომ ეს საკითხი მას არ ეხება, მიუხედავად იმისა, რომ ხანძრის მიზანმიმართულად გაჩენა სისხლის სამართლის დანაშაულია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი აცხადებს, რომ მოსახლეობას აფრთხილებს და საჭიროების შემთხვევაში, ჯარიმებსაც წერს. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ პრობლემა წლებია, არ გვარდება — მიწის ნაკვეთების დიდ ნაწილს ცეცხლი უკიდია და ეს ცეცხლი იმდენად ძლიერია, რომ რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებულანაც ჩანს.

„იმ ადამიანებს, ვინც მიწას ასე ექცევა, ვურჩევ, რომ საქართველოს სადღეგრძელო განსხვავებულით აღარ დალიონ, იმიტომ, რომ ქართულ მიწას ანადგურებენ“, — ასე ეხმაურება ფერმერი ბაძა მონაშვილი იმ ადამიანთა ქვევას, რომელთა წყალობითაც ერთ-ერთი ყველაზე უხვმოსავლიანი მიწები, წლების განმავლობაში, ასე ნადგურდება.

გონაშვილები ოჯახი შირაქში მოსავალს ყოველწლიურად იღებს. ბექა ამბობს, რომ დაახლოებით 15 წლის წინ მისი ოჯახიც ასე წმენდა მიწას. „15 წელია, ეს „ტექნოლოგია“ აღარ გამოგვიყენებია. მანამდე ჩვენც ასე გვეგონა, რომ ეს არის კარგი მეთოდი და მიწას ვასუფთავებდით. დღეისათვის, შემოიღია, გითხრათ, რომ ჩვენი ოჯახი ხორბლისა და ქერის ერთ-ერთ საუკეთესო მოსავალს იღებს შირაქში და ამის მთავარი მიზეზი არის მოვლა-შენახვისა და „გასუფთავების“ ის წესები, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ. ჩვენ არ გამოგვაქვს ნამჯა მიწის ნაკვეთიდან. მოსავლის აღებისას ე.წ. ჩოფერიან კომბაინებს ვიყენებთ, რომლებიც ნამჯას აქუცმაცებს. ნამჯა იგივე ნეშომპალაა, აზოტი, რომელიც მცენარემ მიწიდან ნაშთად ჩვენ ამ აზოტს მიწას ისევ უკან ვუბრუნებთ. შესაბამისად, ვხმარობთ უფრო ნაკლებ სასუქს, ვიდრე ისინი, ვინც მიწას წვავენ. მოსავლის აღებისთანავე, კომბაინებს უკან მიჰყვება ე.წ. დისკები, რომელიც მიწას ჩეხავს (და არა ხნავს) და ეს ნამჯა ჩაქვს მიწაში. შესაბამისად, არაფერს ვწვავთ და მიწის ნაკვეთიც დამუშავებულია“, — ამბობს ბექა.

გონაშვილები ნამჯას, როგორც მულჩსაც იყენებენ. „მიწის ნაკვეთს დამუშავების შემდეგ აფარებენ ე.წ. მულჩს. მულჩი იმითაა კარგი, რომ ის სარეველა მცენარეებს გამრავლების საშუალებას არ აძლევს. აი, სწორედ ნამჯას ვიყენებთ მულჩის ფუნქციით ჩვენ და გარდა იმისა, რომ სარეველებს გამრავლების საშუალებას არ ვაძლევთ, ტენიანობასაც ვუნარჩუნებთ მიწის ნაკვეთებს, რაც შირაქში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მიწა უფრო მდგრადი გახდა გვალვების მიმართ, ვიდრე ადრე იყო. ვილაყამ რომ ჩვენს ნაკვეთს შეხვდეს, იტყვის, რომ დაბინძურებული და მოუვლელია. სინამდვილეში კი, ეს არის ნამჯის მულჩი, რომელსაც ჩვენ ძალიან აქტიურად ვიყენებთ“, — გვიხსნის ბექა.

ის არც იმ ფერმერების მოსაზრებას იზიარებს, რომლებიც ამბობენ, რომ ე.წ. ჩოფერიანი კომბაინის მომსახურება ძვირი ჯდება, ამის გამო პროდუქტის თვითღირებულება ეზრდება და ამას მიწის გადანჯა ურჩევნიან. ბექა გონაშვილი ამბობს, რომ ფერმერს ამ კომბაინის გამოყენებით მოსავლის აღება ერთ ჰექტარზე მაქსიმუმ 10 ლარით მეტი დაუჯდება, თუმცა, სამაგიეროდ, ნაკლები სასუქის შეტანა მოუწევს,

რაც გაცილებით უფრო ამცირებს ფასს, ვიდრე ჰექტარზე ე.წ. ჩოფერის არგამოყენებით დაზოგილი 10 ლარია. რაც მთავარია, მოსავალი გაცილებით მეტი მოდის, ვიდრე გადამწვარ მიწის ნაკვეთებზე. ბექას გაანგარიშებით, მის ოჯახს მიწის სწორად დამუშავება, საბოლოო ჯამში, სხვა ფერმერებთან შედარებით, დაახლოებით, 40 ლარით ნაკლები უჯდება, მინსაც არ აზიანებს და გარემოსაც არ აბინძურებს.

**არასამთავრობო ორგანიზაციის, „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელი, გარემოსდაცველი მანანა შოქლაძე ამბობს, რომ დედოფლისწყაროს მიწის ნაკვეთების მასობრივი გადანჯა განსაკუთრებულ ზიანს აყენებს, ვინაიდან ისედაც გაუდაბნოების საფრთხის წინაშე მდგარ მუნიციპალიტეტს მოსახლეობა ამ საფრთხეს ერთი ორად უზრდის.**

„დედოფლისწყაროში მიწის ე.წ. მამა-პაპური მეთოდით მოვლა მიწის ყველაზე ნაყოფიერ — ჰუმუსის ფენას აზიანებს. ჰუმუსის ფენა რომ იწვის, მერე ნიადაგი ფუჭდება. გარდა ამისა, დაახლოებით, 10-15 წელია GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) ამ ტერიტორიაზე ქარსაფარ ზოლს ყოველწლიურად ამუშავებს, ამ ხანძრებით კი მთლიანად ნადგურდება.



დედოფლისწყაროში გაუდაბნობის პროცესებია დაწყებული, ძალიან მაღალია ქარისმიერი ეროზია, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიაზე ქარსაფარი ზოლების არსებობა, მაგრამ რამდენჯერაც დაირგო აქ ხეები, იმდენჯერ გადანჯავს. გარემოს დაცვის სამინისტრომ ამ ორიოდ წლის წინ ერთხელ გაიბრძოლა, მაგრამ რეალურად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. უმოქმედო პოლიტიკაც, მიუხედავად იმისა, რომ ხანძრის გაჩენა სისხლის სამართლის დანაშაულია. საერთაშორისო ორგანიზაციები საგანმანათლებლო სამუშაოებსაც ეწევიან, მაგრამ მოსახლეობა მაინც ყოველწლიურად იგივე მეთოდს მიმართავს და მიწას აფუჭებს. უწყლობისა და გაუდაბნობის პროცესების გამო დედოფლისწყაროში მოსავლიანობა ისედაც ეცემა და ძალიან გაუგებარია, ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფები საკუთარ საქმეს რატომ აფუჭებენ“, — ამბობს მანანა შოქლაძე.

ის, რომ მიწის ამგვარი „დამუშავება“ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი, ბიორბი ლაშბაძემაც ადასტურებს.

„ნამჯის დაწვის დროს პირველი პრობლემა, რაც იქმნება, არის ის, რომ ნიადაგის ზედა საფარში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს პრობლემა ექმნებათ, ნაწილი საერთოდ ნადგურდება, ნაწილი ცხოველმყოფელობა კი ვერცხდება. შემდეგი პრობლემა არის ის, რომ ამ დროს ხდება ნიადაგის ჰუმუსის დაწვა. რაც უფრო ინტენსიურია ცეცხლი, უფრო მეტ ზიანს აყენებს ნიადაგის ამ ორგანულ ნაწილს. რამდენად ნაწილი ნიადაგის სიღრმეში, ეს უკვე ცეცხლის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. ამას ემატება ისიც, რომ აშრობს ნიადაგს და იწვევს გამტვერიანებას. ნიადაგის ზედაპირის გადანჯის შემთხვევაში,

ხდება მისი გამტვერიანება და, თუკი ეს ტერიტორია სამიშია ქარისმიერი ეროზიის თვალსაზრისით, უფრო ინტენსიური ხდება ამ გამტვერიანების გამო. ცხადია, ასევე, დანაკარგია თვითონ ორგანული ნარჩენი, ეს ნარჩენები თვითონ არის მზის ენერჯის ხარჯზე სინთეზირებული ორგანული ნივთიერებები, რომელსაც ჩვენ ტყუილად ვწვავთ და ამით, გარდა იმ ზიანისა, რაზეც დასაწყისში ვილაპარაკე, ზარალი არის თავად ამ ნივთიერებების დაკარგვა, რომელიც მიწისთვის მკვებავია. ეს უშუალოდ ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემებია. გარდა ამისა, ამას ემატება ქარსაფარი ზოლების განადგურება, ხანძრები და ა.შ.“ — ამბობს გიორგი ლაშბაძე.

მისი თქმით, მისი უწყება მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებით სამუშაოებს ატარებს. „ჩვენ სამეცნიერო კუთხით ვუხსნით ფერმერებს, რა მავნებლობა მოაქვს ამას და, რომ აქედან სარგებელი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ მათთვის იოლია ნაკვეთის ასე გასუფთავება, მაგრამ, საბოლოოდ, ამით საკუთარ მიწას ანადგურებენ. ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ გლეხებს აფუხსნათ, რა ზიანი მოაქვს მიწის გადანჯას“, — აცხადებს ლაშბაძე.

ამავე — გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კიდევ ერთი წარმომადგენელი, შიდა-მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის შიდა-მელიორაციის სამმართველოს მეთაური ეთიუ-ლის ხელმძღვანელი მკა სანაძე ადასტურებს, რომ პრობლემა მოუგვარებელია და საკონსერვაციო საკითხებზე ამხვილებს ყურადღებას.



„ის პრაქტიკა, რომელიც ქვეყანაში არსებობს ნამჯის გადანჯასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ძალიან ცუდი პრაქტიკაა, მაგრამ გლეხურ მეურნეობებში ძალიან ფართოდ არის გავრცელებული. ამის გაკეთება კი არაფერის დიდებით არ შეიძლება, რადგან ნიადაგის სტრუქტურას საგრძნობლად აუარესებს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას გამოიწვევს. ამასთან არის დაკავშირებული ქარსაფარი ზოლების არსებობაც, რადგან ეს ხანძრები, უმეტეს შემთხვევაში, იწვავს ამ ზოლებსაც.“

ქარსაფარი ზოლების გაშენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ღონისძიება იმიტომ, რომ ქარსაფარი ზოლებით ნიადაგის საფარის დაცვა ხდება. ამიტომ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც არ არის ქარსაფარი ზოლები, ნიადაგის ნაყოფიერება შემცირებულია“, — ამბობს ეკა სანაძე და დასძენს, რომ პარლამენტის აგროსექტორის კომიტეტმა „ქარსაფარი ზოლების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი მოამზადა, თუმცა, ის ჯერ მიღებული არ არის. სამაგიეროდ, სანაძის განმარტებით, მოქმედებს „ნიადაგის მართვის შესახებ“ კანონი, რომელიც ნათქვამია, რომ იკრძალება ყველა ტიპის საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ნიადაგის მდგომარეობის გაუარესებას. „ამიტომ კანონმდებლობა გვაქვს და, რომ არ მოხდეს მიწის დაწვა, აუცილებელია ამის კონტროლი, რომ ამას არ ჰქონდეს ისეთი ინტენსიური ხასიათი, როგორც, სამწუხაროდ, დღეს აქვს“, — აცხადებს ეკა სანაძე.

კიდევ ერთი უწყება, რომელსაც ვითარებაში გასარკვევად droa.ge-მ მიმართა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტია.

როგორც droa.ge-ს უწყებაში განუცხადეს, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები ითვლება ე.წ. არასახიფათო ნარჩენებად, მაგრამ მისი ღია წესით დაწვა გარემოს მაინც აბინძურებს და შესაბამისად, ამ ნარჩენების დაწვა მიწის ნაკვეთებისთვის ცეცხლის ნაკიდებით არ შეიძლება. ამ აკრძალვას კი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ არეგულირებს და დაწვის შემთხვევაში, მოქალაქე 200 ლარით ჯარიმდება.

კოდექსის თანახმად, „მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბალის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების სანჯავ დაწვადგარში დაწვა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით“.

უწყების ინფორმაციით, მონიტორინგი და რეაგირება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვალდებულია.

„რეაგირება არის ჩვენი დეპარტამენტის ვალდებულება და ხდება ორი მიმართულებით: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეკიპაჟები პატრულობენ 24 საათის განმავლობაში. შესაბამისად, თუ პატრულობის პროცესში ფაქტი ნახეს, გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. ანუ, შეადგენენ ოქმს და გადასცემენ სასამართლოს. მეორე შემთხვევაში კი რეაგირება მოქალაქეების წერილობით საჩივარზე, ან ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებაზე ხდება“, — აცხადებენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.

უწყების ინფორმაციით, 2017 წლიდან დღემდე „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 35-ე მუხლის დარღვევის 69 ფაქტია გამოვლენილი. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ მიწის ნაკვეთებზე გასუფთავების მიზნით გაჩენილი ხანძრის შემთხვევები; აქ შედის ყველა ის დარღვევა, რასაც 35-ე მუხლი კრძალავს, მათ შორის, ნახსენები ხანძრები.

რაც შეეხება კონკრეტულად შირაქსა და სხვა მიწის ნაკვეთებზე არსებულ ახალ შემთხვევებს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში droa.ge-ს განუცხადეს, რომ უკვე გამოერილია ოქმები და გადაგზავნილია სასამართლოში.

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ პრობლემა კვლავ მხვევდ დგას და კილომეტრებზე გადაჭიმული შირაქის ველი და სხვა მიწის ნაკვეთები ამ წუთებში უმოწყალოდ ნადგურდება. შედეგად კი ვიღებთ დაზიანებულ მიწას, გადამწვარ ქარსაფარ ზოლებს, შემცირებულ მოსავალს და აქედან გამომდინარე, შემცირებულ შემოსავალსაც, რაც მოსახლეობის გაღარიბებას პირდაპირპროპორციულად იწვევს და დაბინძურებულ გარემოს, რომელიც ადგილობრივებს ცხოვრება უწევთ, თუმცა, ამაზე ისინი, სამწუხაროდ, არც კი ფიქრობენ.

„სახელმწიფომ თუ ამ ყველაფრისთვის კანონდამრღვევი სამაგალითოდ არ დასჯა, არაფერი შეიცვლება. ერთია, რომ თვითშემგნება დაბალია და ეს პრობლემა და მეორეა, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკებსაც არ ადარდებთ ეს საკითხი. მე თუ მკითხავთ, ამ ქმედებაზე ძალიან დიდი ჯარიმა უნდა დაწესდეს, სხვანაირად ამ პრობლემას ვერ მოეგვება. მეორე მხრივ კი, შესაბამისმა უწყებებმა, ვისაც ეს ეხება, საინფორმაციო კამპანია აქტიურად უნდა აწარმოონ იმისათვის, რომ ფერმერებმა კარგად გაიგონ, რას აფუჭებენ, რა ზარალს აყენებენ საკუთარ თავსაც და გარემოსაც. როცა ნახავენ, რომ მიწის სწორი დამუშავებით უკეთესი შედეგი აქვთ, ამ ტრადიციად ქვეულ მეთოდზეც საბოლოოდ უარს იტყვიან“, — ამბობს ბექა გონაშვილი, რომელიც მომავალი წლის მოსავლის მისაღებად, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მიწის დამუშავებას უკვე შეუდგა.

სტატისის ავტორები: მამადა შოქლაძე-ლი, რუსა მარაძე ფოტოებისა და ვიდეოს ავტორი: თინათინა შოქლაძე-ლი წყარო: www.droa.ge



# შიდა გზების სამშენებლო სამუშაოები არბოშიკში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა არბოშიკის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. საარეზერვუარო სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობს სოფლის ცენტრიდან სასაფლაოებისაკენ მიმავალ შიდა გზაზე ასფალტის საფარის დაგება და არსებული სანიტარული სისტემის მოწესრიგება.

„მიხარია, რომ ქალაქ დედოფლისწყაროს გარდა, შიდა გზების მოწყობა სოფლებშიც დაგეგმილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი განვითარებისათვის. ამ ეტაპზე ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს სოფელ ზემო მაჩხანისა და მირზანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზეც. მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ისიც, რომ სამუშაოები სწრაფი ტემპებითა და მაღალი ხარისხით სრულდება. ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



# მარიამობა დედოფლისწყაროში



მარიამობისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრი კაპანაძემ ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.

28 აგვისტოს მართლმადიდებლური ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს.

საქართველოში მარიამობა ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რადგან ჩვენი სამშობლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნილხვედრია და მას წმიდა ქალწული მარიამი იფარავს.

# მოკრავი „პიანინოს“ ტურნე დედოფლისწყაროდან ღაიფყო

27 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით, კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, რეგიონულმა ტურნემ სტარტი კახეთიდან აიღო. პირველი კონცერტი დედოფლისწყაროსა და სიღნაღში ჩატარდა, მასზე დასწრება უფასო იყო. ჯულიანის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ცნობილი ახალგაზრდა პიანისტი დავით ალადაშვილი და კომპანია „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ ახორციელებს მუსიკალურ ტურნეს „პიანინო“.

დავით ალადაშვილი, ორი კვირის განმავლობაში, მოძრავ სცენაზე დამონტაჟებული პიანინოთი მთელს საქართველოში იმოგზაურებს და ჯამში 50-მდე კონცერტს ჩაატარებს.

დიდი ზომის ნივთები მოძრავი მანქანა, რეგიონიდან რეგიონში გადაინაცვლებს, წინასწარ შერჩეულ ადგილას ტრანსფორმირდება სცენად და ღია ცის ქვეშ ყველა დაინტერესებულ მსმენელთან მიიტანს კლასიკურ მუსიკას. პროექტის მთავარი მიზანია ჩვენი საზოგადოების ფართო მასებს, საქართველოს ყველა რეგიონში მივანდინოთ ცოცხალი მუსიკის ხმა.

დედოფლისწყაროელებმაც კულტურის სახლის ეზოში მოიყარეს თავი და კლასიკური მუსიკის მოსასმენად მოძრავი პიანინოს გამოჩენას ჩრდილში ელოდნენ. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რატომ დაიწყო რეგიონული ტურნე დედოფლისწყაროდან. ამაზე ცნობილ

პიანისტს საკმაოდ მყარი პასუხი აქვს. ამაყობს, რომ მისი ფესვები დედოფლისწყაროდან არის, ამიტომაც სურდა პირველი კონცერტი აუცილებლად აქ გამართულიყო. როგორც მასთან საუბრისას გაირკვა, მოხარულია, რომ სიტბო და გამორჩეული დამოკიდებულება მაყურებლისგანაც იგრძნო და მათ შორის სამომავლო თანამშრომლობის პირობაც დაიდო. მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ თამაზაშვილმა ღიად დააფიქსირა, რომ სასურველია, ამგვარი კონცერტი დედოფლისწყაროში კიდევ გაიმართოს, მაშინ, როცა არადაგები არ იქნება და გაცილებით მეტი მსურველი მოახერხებს დასწრებას.

**დავით ალადაშვილი (პიანისტი):**

„ასეთი იდეა დაგვებადა, რომ ვინც ვერ ახერხებს დედაქალაქთან ხშირ კონტაქტს, მათთვის კლასიკური მუსიკა სოფლად მიგვეტანა. სხვადასხვა კომპანიებმა მხარი აქტიურად დაგვიჭირეს და მათი სპონსორობით შევძლებთ ყველა რეგიონში ჩავიდეთ და ჩვენს იდეას ხორცი შევასხათ... რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, თუ რატომ დავინყე ტურნე დედოფლისწყაროდან, ვუპასუხებ, რომ, ვინაიდან მეც კახელი ვარ და ჩემი ფესვები დედოფლისწყაროდან არის, მთელი საქართველოს მასშტაბით ტურნე აუცილებლად დედოფლისწყაროდან უნდა დაიწყო. ასეც მოხდა და ბედნიერი ვარ. არ ველოდი ასეთ თბილ დახვედრას. დადებითი მუხტი მოდიოდა მაყურებლისგან,



როგორც კონცერტის მსვლელობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ. აქედან სიღნაღში მივდივართ, შემდეგ კი ლაგოდეხს და ყვარელს ვენვევით. მომავალ კვირას უკვე სხვა რეგიონში ვიქნებით. დღემდე სამ ლოკაციაზე ჩავატარებთ კონცერტს. იმედი მაქვს, ამ ტურნეს შედეგად ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდება კლასიკური მუსიკით, ჩვენი მთავარი მიზანია სწორედ ესაა. გვინდა, ბევრ ადამიანს გაუფიქვოთ კლასიკური მუსიკისადმი სიყვარული. რაც შეეხება ჩვენს რეპერტუარს, ცხადია იქნება კლასიკური მუსიკა, თუმცა მაქსიმალურად ვეცდებით იყოს მრავალფეროვანი... ბახიდან დაწყებული თანამედროვე კომპოზიტორებით დამთავრებული, ყველაფერს გააჟღერებთ. ეს კი დამოკიდებული იქნება იმაზე, რომელ რეგიონში რა მუსიკას მოითხოვენ. ვეცდებით, ინდივიდუალური და მათთვის საინტერესო რეპერტუარი შევთავაზო მათ მოთხოვნებზე დაყრდნობით. ასე რომ, მაყურებლის თხოვნებსა და სურვილებს მაქსიმალურად გავითვალისწინებთ.“

გიონებში ამის დეფიციტი განსაკუთრებით თვალშისაცემია. როგორც ჩანს, ადგილობრივები ახალგაზრდა პიანისტს და მის შემოქმედებას ტელევიზიიდან კარგად იცნობენ, რადგან მას წამყვანი ქართული ტელე-არხები ხშირად აჩვენებენ. ამიტომაც, მისი სტუმრობის გამო მაყურებელი კმაყოფილებას არა მარტო ჟურნალისტებთან, თავად პიანისტთანაც ღიად აფიქსირებდა.

**მარიამ კიკილაშვილი:** „ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან დროული და უზომოდ საჭირო ტურნეა. ზოგადად, კლასიკურ მუსიკას იმიტომ ჰქვია კლასიკური, რომ მასში შესანიშნავად და ჰარმონიულადაა შერწყმული გრძობა, ინტელექტი და ყველაფერი. ამიტომ ძალიან საჭირო და აუცილებელი ტურნეა, მივესალმები ამ იდეას. საჭიროა, საზოგადოებამ ისწავლოს, რომ აუცილებელია ვისწავლოთ მუსიკის მოსმენა ინტელექტით და არა მხოლოდ სხეულით. მინდა გითხრათ, რომ დათო შესანიშნავი და ძლიერი პიანისტი, მე მას დიდი ხანია ვიცნობ, ტელე-ეკრანზე ვუსმენ და ვგულმემატიკობ. ამიტომაც ძალიან დავაფასებ მისი ეს გადწყვეტილება, რომ დღეს დედოფლისწყაროში ჩამოვიდა და რეგიონული ტურნე სწორედ აქედან დაიწყო. ძალიან გვჭირდება ასეთი შეხვედრების სიხშირე.“





# კასრისწყალი — სოფელი, სადას სამოქმედო მართვას თემა იწყებს

## კასრისწყალი — მასაჟოლოგიის სოფელი

ზვიად ბუჩაძე 25 წლისაა. ის თუშია, თუშცა, შირაქში გაიზარდა: ერთი წლის იყო, მშობლებმა კასრისწყალში რომ ჩამოიყვანეს და მას მერე ამ სოფელში ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინ კაჭრეთის კოლეჯი დაასრულა და ახლა კასრისწყლის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლად მუშაობს.

სკოლა ერთადერთი საჯარო დაწესებულებაა კასრისწყალში. ახლა აქ 29 მოსწავლეა.



კლასებში 3-4 ბავშვია, ზოგან ნაკლებიც. წელს საატესტატო გამოცდებზე ორი ახალგაზრდა გავიდა: ერთი წლებიანი კურსდამთავრებულია, მეორემ, გაცილებით უფროსმა, ექსტერნად დაასრულა საშუალო სკოლა. ზვიადი რომ სწავლობდა, 80-მდე მოსწავლე იყო, ადრე უფრო მეტიც.

სკოლაში რამდენიმე ადამიანი მუშაობს. აქაურთა უმეტესობა ან უმუშევარია, ან სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, უფრო სწორად, თვითდასაქმებულია და საქონელს პატრონობს.

კასრისწყალი, რომელსაც 1966 წლამდე ელდარი ერქვა, ფაქტობრივად, უკიდურესი სოფელია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. თან ცოტა უცნაური და განსხვავებული სოფელია. რატომ უცნაური? შუაგულ შირაქშია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ქალაქ დედოფლისწყაროდან 45 კილომეტრში, მაგრამ ახმეტის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ახმეტისტიდან 162 კილომეტრით არის დაშორებული. ასეთი უცნაური და შეუსაბამო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

სოფლის ასეთი მიკუთვნებულობას მის ისტორიას უკავშირებენ: თუშების უმეტესობა დღეს ზემო და ქვემო ალვანში სახლობს, მაგრამ მათი მთავარი საქმიანობა, ტრადიციულად, მეცხვარეობა იყო. ეს საქმედ მომთაბარეობას გულისხმობდა: ცხვარი ზაფხულში მთაში იყო, გამოზამთრებით კი შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე იზამთრებდა და იზამთრებს დღესაც. კასრისწყალიც მეცხვარეების საზამთრო საძოვრების ცენტრალური სოფელია.

კასრისწყალში, საქართველოს სხვა სოფლებისგან, ალვანის, ან თუნდაც არხილოსკალოსგან განსხვავებით, განაშენიანებაც განსხვავებულია, აქაურთა უფრო დროებითი საცხოვრებელს ჰგავს: სოფელში რამდენიმე კორპუსის ტიპის ან ბარაკის ტიპის სახლია.

მეცხვარეები ხომ 4-5 თვეს შირაქსა და ელდარში ატარებდნენ. თუმცა, წლების განმავლობაში სოფელში მუდმივი მაცხო-

ვრებლებიც გაჩნდნენ. დღეს აქ ერთად ცხოვრობენ თუშები, ქიზიყელები, კახელები, ასევე, აზერბაიჯანელები და სომხები.

## კასრისწყალი

ოდესღაც, როცა მეცხვარეობას მეტი ყურადღება ექცეოდა, კასრისწყალიც დიდი სოფელი იყო. კვლევის — „კასრისწყლის თემის სოციალურ-ეკონომიკური შეფასების“ მიხედვით, მაქსიმუმს თემის მოსახლეობა გასული საუკუნის 70-იან წლებში აღწევდა. ამ დროს აქ 1,657 კაცი ცხოვრობდა. შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირ-

და და 70-80-იან წლებში 650-700-ის ფარგლებში მერყეობდა. 90-იანი წლების კრიზისამც თავის დალი დაასვა თემს: 2002 წლის აღწერით, სოფელში 352 კაცი ცხოვრობდა, 2014 წლის მონაცემებით კი — 214. თუმცა, აქაურთა თქმით, რეალური სურათი ოფიციალურ სტატისტიკაზე მძიმეა: მოსახლეობის 60-70% გასულია.

კასრისწყალს კიდევ ერთი თავისებურება აქვს, რომელიც განარჩევს საქართველოს ზოგადი მაჩვენებლებისგან: აქ მამაკაცების რიცხვი ყოველთვის სჭარბობს ქალების რიცხვს. დღეისათვის სოფელში 60-მდე ოჯახი ცხოვრობს, თუმცა, სულ უფრო იზრდება მიგრაცია. როგორც აქაურები გვეუბნებიან, მხოლოდ ბოლო ორ-სამ წელში 10-12 კომლი წავიდა. მიდიან, ვისაც სად წაესვლება: დედოფლისწყაროში, რუსთავში, თბილისში. თითქმის არ არის ოჯახი, ერთი წევრი მაინც არ ჰყავდეს უცხოეთში: იტალიაში, საბერძნეთში, ისრაელში...

## გზა და სხვა პრობლემები

დედოფლისწყაროდან ვამლოვანის ეროვნული პარკისკენ გზას რომ დაადგები, ასე შუა ნაწილში, ორი სოფლის მანძილები აბრავს: „ზემო ქედი — 8 კმ“, „კასრისწყალი — 15 კმ“. კასრისწყლის გზა პირდაპირ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიდის. აქ ასფალტიც მთავრდება და გრუნტის ორმოებიან გზაზე გინევის ჯაყჯაყი. გზის ორივე მხარეს მინდვრებია. შირაქი ხომ, ისტორიულად, საქართველოს ბედილი, მარცვლეულის მხარეა. თუ ტალახი არ არის, გზის მცოდნეები, როგორც წესი, მინდვრების გზით გადაინ. ტალახის დროს იმ გზით გავლისას ჩარჩენის რისკიც არსებობს.

გზა ხომ არ არის და სოფელს არც ბუნებრივი აირი მიეწოდება. სასაქონლო წყალიც ჭირს. სოფელში 2-3 წყაროა, თუმცა, თბილისიდან ჩასულს ამ მაღალმინერალიზებული და სასმელად არც თუ სასიამოვნო წყლის დაღვევა გაეჭირდება, ეს წყალი დასალევად უფარგისია, მაგრამ კასრისწყლებს სხვა გზა არ აქვთ და მიჩვეულნი არიან.

აქ არც მაღაზიაა (როგორც

გვითხრეს, რამდენიც გაიხსნა, გადაუხდელი ვალების გამო დაიხურა), არც — აფთიაქი. რამე რომ სჭირდებათ, აქაურები იძულებული არიან, დედოფლისწყაროში ჩაივადონ. იქამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვირაში ორჯერ დადის. ავტომანქანა სოფელში ბევრს არ აქვს და უმეტესობა, ექიმთან ან საყიდლებზე რომ წავიდეს, „მარშ-რუტკას“ ელის, ან, გადაუდებელ შემთხვევაში, მეზობლებს აწუხებს.

აქამდე მოსვლა სასწრაფო გადაუდებელი სამსახურის მანქანებსაც უჭირთ.

როგორც ხედავთ, კასრისწყალი მთლიანად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზეა მიბმული, მაგრამ ეს სოფელი, როგორც უკვე გითხარით, დღემდე ახმეტის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია.

მძიმე პირობებისა და უპერსპექტივობის გამო კასრისწყლიდან მიდიან აქაურები, განსაკუთრებით, ახალგაზრდები.

თეა სამინაშვილი 36 წლისაა. თავად ქარელიდან არის, მაგრამ თითქმის 20 წელია, აქ ცხოვრობს. ადრე ბებიასთან ჩამოდიოდა, მერე აქ გათხოვდა. თეას არასრული საშუალო განათლება ჰქონდა და წელს ექსტერნად დაასრულა საშუალო სკოლა.

„მე და ჩემი მეუღლე თითქმის ყოველ წელს ვფიქრობთ, რომ წავიდეთ აქედან. მეუღლე ტექნიკაზე მუშაობს. საშუალო კი აქვს, მაგრამ რთულია აქ ცხოვრება. ჯერ ვრჩებით, მაგრამ როდემდე, არ ვიცი“, — ამბობს თეა, რომელიც უმუშევარია და ფიქრობს, იქნებ კოლეჯში გააგრძელოს სწავლა.

## სამოქმედო — სოფლის მართვა

აქაურთა უმეტესობა მესაქონლეა. მეცხვარეობაზე მეტად ახლა მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევენ.

21 წლის ემატინ მამედოვი აზერბაიჯანელია. მისი ოჯახი კასრისწყალში ოდესღაც იორმულალოდან მოვიდა. სახლი ახლაც აქვე იორმულალოში, სადაც ემატინის პაპა ცხოვრობს. ხანდახან საქონელს სხვას აბარებენ და მიდიან იორმულალოში ცოტა ხნით. ემატინიც და მამამისიც ელდარში დაიბადნენ, აქვე დადიოდნენ სკოლაში, ემატინმა კოლეჯი დედოფლისწყაროში დაამთავრა. სამართალი ისწავლა, თუმცა, კოლეჯის დიპლომით კარგი სამსახურის შოვნა რთულია და სოფელში დაბრუნებული ემატინი პროფესიას ვერ იყენებს. ოჯახი მესაქონლეობას მისდევის: 30-მდე ძროხა და 50-მდე ცხვარი ჰყავთ. მის პაპას ადრე მეტი საქონელი ჰყავდა, აქაური საძოვარი იძლეოდა ამის საშუალებას.

მესაქონლისთვის კასრისწყალში ცხოვრებას ის ხიბლი აქვს, რომ ზამთარ-ზაფხულ აქ შეიძლება გყავდეს პირუტყვი. თეას ამზადებენ, ხორბლის ალების შემდეგ ნამჯა იპრესება და საზამთროდ ინახავენ. თუმცა, მთიანი რეგიონებისგან განსხვავებით, შირაქის მშრალი კლიმატი შედარებით ნაკლებ საზრუნავს უტოვებს მესაქონლეს, ბალახი ზამთარშიც არის. ემატინის ოჯახსაც პირუტყვი იშვითად მიჰყავს სადმე, ძირითადად, კასრისწყლის საძოვრებზე არიან დამოკიდებული.

„თუ მხოლოდ ჩვენი სოფლის საქონელი ძოვს, გვყოფნის“, — ამბობს ემატინი.

მესაქონლეები ჩივიან, რომ სოფლის გარშემო საძოვარი იმდენად გაუარესდა, რომ აღარ

იცინან, სად შეიძლება აძოვონ და დიდ დროს კარგავენ ახალი საძოვრის ძებნაში. იმ ნაკვეთებზე, სადაც ბევრი საქონელი ძოვს, ბალახი ცოტაა. მინდვრები ნარმოდებულია. ნარის არსებობა დასტურია იმისა, რომ საძოვარი აღარ ვარგა და ასეთ მინდორს არც ცხვარ-ძროხა ძოვს.

ზვიადი, ელმატი და მათი მეგობრები გააერთიანა გარემოს გლობალური ფონდის პროექტმა — „მინის დეგრადაციისა და სილარობის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მინის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“. პროექტის ინიციატივით, ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად, გადაწყდა საძოვრების სათემო მართვის მოდელის დანერგვა: თემის ჩართულობითა და თუშეთში მიღებული მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, შეირჩა 5 ახალგაზრდა, რომლებიც დაინტერესებულნი და მოტივირებული იყვნენ, შეეცვალებათ საკუთარი მომავალი და სოფელში მდგრადი მესაქონლეობის განვითარებით დაკავებულიყვნენ.

პროექტის დახმარებით ამ ახალგაზრდებმა საძოვრების მართვის ჯგუფი შეიქმნეს და საძოვრების მონიტორინგისა და



სწორად მართვის პრინციპების სწავლა დაიწყეს. ამის პარალელურად, საძოვრების რეაბილიტაციაზე დაიწყეს ზრუნვა და მესაქონლეებთან შეთანხმებით, ცოვების როტაციის პრინციპი დანერგეს, რაც საძოვრის მონაცვლეობით გამოყენებას გულისხმობს.

პროექტის დახმარებით ელექტროლობით შემოიღოთა ეროზირებული საძოვრის ნაწილი, 75 ჰექტარი ნაკვეთი, რათა მისი აღდგენა-რეაბილიტაცია მოხდეს. ყვავილობის პერიოდში (როცა ფესვი ყველაზე სუსტია) ელექტროსაჭრელით დაიჭრა ნარ-ეკლების მიწისზედა ნაწილები. ელექტროსაჭრელი, თივის საპრესი, ელექტროლობე და სხვა ტექნიკური საშუალებები პროექტის ფარგლებში შეუძინეს კასრისწყლებს.

ელექტროლობე იოლად შეიძლება გადაიტანო სხვაგან. მასში მზის ბატარეებით მცირე სიმძლავრის ელექტროენერგია გავის, რაც პირუტყვისგან იცავს ტერიტორიას. ალექსი იაჟინამა და სხვა ბიჭებმა, შენაქოელი ახალგაზრდა ფერმერის, გოგი იმედაძის დახმარებით ერთ დღეში ააწყვეს ლობე.

ალექსი ეროვნებით სომეხია. მისი ოჯახიც კასრისწყალში ცხოვრობს და მესაქონლეობას მისდევის. მათაც სჭირდებათ, რომ სოფელში კარგი საძოვარი იყოს.

„ჩემი ოჯახიც, კასრისწყალეთა 80-90%-ის მსგავსად, ამ საძოვარზეა დამოკიდებული. ვინახავთ საქონელს და ამით ვცხოვრობთ. ჩვენი ცხოვრება და შემოსავალი ამაზეა აწყობილი. ახლა ზაფხულია და ჩვენთან ძალიან ცხელია. ბა-

ლახიც გადახმა. ნარმოდებულ ადგილებზე, როგორც ეს საძოვარი იყო, ძროხა ვერ ძოვს, თითქმის მშვიდი ბრუნდება. არ აქვს რძე“, — ამბობს ალექსი.

არადა, აქაურებს ძირითადი შემოსავალი ძროხა და ყველის წარმოებით აქვთ, შეიძლება საქონელი ცოცხლად გაყიდონ, ან დაკლან და ხორცი გაყიდონ. მშვიდი საქონელი, ცხადია, ვერც წონაში იმატებს.

„ჩვენს სოფელს კარგი საძოვარი სჭირდება. მე ბევრი ვიკითხე ამ თემაზე, მერე სპეციალისტებმაც აგვისსნეს ტრენინგზე, რომ საძოვრის გაუმჯობესებით მინდროში ჩნდება მეტი პროდუქტიული ბალახი, რაც გაზრდის საქონლის წველადობას“, — ამბობს ზვიად ბუჩაძე.

ჰანს კერხმაიერი ავსტრიელი ეკოლოგი და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის კონსულტანტია. ის ივლისში იყო კასრისწყალში და რეკომენდაციები მისცა ახალგაზრდებს. ექსპერტის აზრით, ნაკვეთი იმდენად დეგრადირებულია, რომ ორი წელი მისი გამოყენება დაუშვებელია.

შემოლობილ ნაკვეთზე ესპარცეტი დაითესა, ეს გაზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას და ხელს შეუწყობს საფურაჟე

მასალის კვებითი ღირებულების გაზრდას. „სოფელში ფიქრობენ, რომ ამ გზით საძოვრების შენარჩუნება შესაძლებელი იქნება. უკეთესი საძოვარი მეტ რძესა და უკეთეს საქონელს ნიშნავს, ეს კი მესაქონლეების შემოსავალზე აისახება“, — ამბობს ზვიად ბუჩაძე.

კასრისწყლების დიდ ნაწილს მიაჩნია, მოსახლეობა რომ დარჩეს და სოფელი შენარჩუნდეს, ხელისუფლების მხარდაჭერაა აუცილებელი. სოფელი ზღვის დონიდან დაახლოებით 500 მეტრზე მდებარეობს, თუმცა, აქაურები საზღვრისპირა და შორეული სოფლისთვის გამოინაკლისის სახით მაღალმთიანი დასახლების სტატუსსა და ამ სტატუსის განსაზღვრული შედეგებით სარგებლობას ითხოვენ.

ზოგი ხვდება, რომ შეღავათებზე და დახმარებაზე მნიშვნელოვანი სხვა საკითხებია: საძოვრების მართვას კანონმდებლობის ხელშეწყობაც სჭირდება. პროექტის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და გერმანიის ტენიკური თანამშრომლობის პროგრამასთან ერთად, საძოვრების მართვის პოლიტიკისა და კანონმდებლობის დოკუმენტებზე მუშაობაც მიმდინარეობს.

ახალგაზრდები კი მხოლოდ ხელისუფლებას არ უყურებენ, უკვე ზრუნავენ სოფლის საძოვრებზე და ამ გზით უწყობენ ხელს საკუთარი სოფლის განვითარებას.



# ტკივილით სავსე ჩვენი ისტორია

კაცობრიობის დასაბამიდან მრავალი მითი და ლეგენდა დაწერილა ადამიანის წარმოშობის ადგილის, პირველი საცხოვრისის შესახებ.

თვითონ სიტყვა „მითი“, პირდაპირი მნიშვნელობით, რომ ვთარგმნოთ, „მონათხრობს“ ნიშნავს. მითებით გადმოცემულია ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ოდესღაც მოხდა და კაცობრიობის მეხსიერებას შემორჩა. არქეოლოგები, ისტორიკოსები და

ბუჯს შემოადგა თვით „მსოფლიო მბრძანებლის“ სარდლობით. აი რას წერს: „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორიის ავტორი ისკანტერ მუნში“. ეს დიდებული ციხე მდებარეობს მაღალ და მიუვალ მთის წვერზე. მისი სიმაღლე ისეთია, რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც მცველები დგანან 560 კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა. ამ ციხეს წვიმის წყლის ასავსები ამბრის გარდა ერთი წყაროც რომ ჰქონ-

ტვირთი იყო ყოველთვის მათთვისვე! ეპისკოპოსმა მაქსიმე ბოდბელმა აღიმაღლა ხმა: „შემოუშვით, ღმერთი არ გაგვნირავს, წვიმას მოგვივლენს, გაივსებაო ამბარნი წყლისა“. გასწიეს მძიმე ურდული. სიხარული აღმოხდათ „ზოლეისას“ სახის მზეთუნახავებს, აყიყინდნენ ბავსებზეც. ვაგლახ! ნაადრევი აღმოჩნდა აღფრთოვანება, ჯერ მზემ გაგვნირა, ჩვენმა სათაყვანო მზემ.( ხორნაბუჯი ხომ „მზის სამლოცველოს“ ნიშნავს) მზის ტაძარში გვალვის სატანამ დაისადგურა. კირქვიან კედლებს აღმური ასდოდათ. სიმშრალემ შეინოვა ტენი. წყალი იკარგებოდა პირგახსნილ ღრიჭოებში. იგესლებოდნენ ყავისფერი ჯოჯოები.

დაუჩოქა ეპისკოპოსმა ღმერთს. წვიმა მოგვივლინეო, სამსხვერპლო კურატი შესწირეს წმინდა ელას- ღრუბელთა გამრიგეს. ფუჭი იყო ყველაფერი, ხვატი ძლიერდებოდა, წმინდა ლაზარეს რიტუალიც გაიხსენეს. ლაღებდა კაცი თუ ქალი „ლაზარეო, ლაზარეო, აღარ გვინდა გორახი, ახლა გვინდა ტალახი“. არა და არ გაიხსნა ცამ პირი „თუ წვიმა გენანება, სეტყვა დაგვატყეო“. ახლა ეს სთხოვეს წმინდა ელიას ხატს. მოვიდა სეტყვა მუშტის ოდენა, გაქვავებული წყლის გუნდები წამოუშინა, ჩახერგა ახლად აკვირებული ალაზნისპირა ჭალები, თვითონ ციხეს სეტყვის კაკალიც არ მიჰკარებია. „მართლაც ბრმა ყოფილაოელია!“- ამოიხრეს ქიზი-

მაგრამ ციხიონიც დაუძღვრებული იყო. სიცოცხლეს მისცემდა ერთსაათიან წვიმამში, მაგრამ...

- წყალი! - ტიროდა პატარა ბავშვი.  
- წყალი! ქვითინებდა ძუძუგამშრალი დედა.

- წყალი! - კვნესოდა დაჭრილი. ველარ გაუძლო გოდებას მეთაურმა. კიდევ ერთი დღე დაიცადეს ქიზიყელებმა და ჩამოხსნეს ქართული დროშა ზესთა კოშკიდან. უკანასკნელად ჩამორეკეს ზარებმა, გაბზარული ჰქონდათ ხმა, სამგლოვიარო რეჟივმს რეკდა ცარიელი ტაძარი. ბაგრატ ხანი გაუძღვა ყელზე თოქობმულ შერმაზან ქართველს. ლასლასით გავიდა ციხიდან რამდენიმე ასეული „დამარცხებული“, ბევრმა მახვილი ჩაიკა მკერდში, ბევრიც „ვაების ფრიალოდან“ გადაეშვა. წასვლისას ბაგრატ ხანმა წყლით სავსე სურა გადასცა თამაზ ქიზიყელს მალულად: ვიცი, არ დანებდები, თუ სიცოცხლისთვის არ გეყოფა, სიკვდილისთვის მაინც მომაგრდით“. ფეხმარდი მერანი ჰყავდა სპასპეტს, სახელად „შმაგი“. მთელი სურა ცხენს ჩაასხა პირში თამაზ ქიზიყელმა, მოეფერა ერთგულს, შემოიხვია ქართული დროშა და გარეთ გამოიჭრა. ცხენკაცმა ლოლამების, ლაზიების, ფოფჩიების, შავი სევალების რიგები გააპო. შაჰ-აბას პირველის თვალთა წინაშე 13 კაცი აჩეხა, გასცდა მოალყეთა ბანაკს, შაჰს ასძახა: „ისევ მიხილავ ბრძოლის ველზე!“ გაფრინდა „შმაგი“, შორს ჩა-



ანთროპოლოგები, გვიჩვენებენ, რომ მითებში და ლეგენდებში არის ჭეშმარიტების მარცვალი.

ქართულ მითოლოგიაში შემოგვრჩა მდიდარი ზეპირი მასალა, რომელიც გვიამბობს ქართველი ხალხის წარმოშობა- განვითარებაზე, მის ირგვლივ მყოფ სამყაროზე ცასა და ქვეყანაზე, მასში თვალნათლივ მოსჩანს ქართველ ტომთა უძველესი ეპოქების წარმოდგენები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ათეული და ასეული გამგებლის, მფარველის, მწყემსის, ბატონის, სულის, ადგილის დედისა და სხვათა შესახებ.

ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გამოატარა და შეინარჩუნა ხალხური თქმულებები.

„საქართველო „ოქროს ვერძის“ ქვეყანაა“ - ამ ლეგენდას თაობიდან თაობას გადასცემდნენ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე. მთქმელები დღემდე მოუთხრობენ მას კავკასიის მთებსა თუ თბილისის განათლებულთა სახლებში. იგი წარმოადგენს ფილოსოფიას ძველი ერისას... ჩვენი რასის აკენისა, ქრისტიანობის ბურჯისა საუკუნეთა მანძილზე ურწმუნოთა თავდამსხმელი ურდოების წინააღმდეგ, ერთად-ერთი ქვეყნისა, რომლის შვილებს ნება ჰქონდათ მსულიყვენ იერუსალიმში გაშლილი ბაიბლებით, ქვეყნისა, რომელიცაა საქართველო.“

ბელ კოლზი კარინგტონი ინგლისელი მთარგმნელი

ეს ზოგადად, ახლა კი კონკრეტულად გვინდა ერთ თქმულებაზე მოვიხსნათ, რომელშიც ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ისტორიის და მკვლევარის ლოვარდი ტუხაშვილის კალამს ეკუთვნის.

თქმულება-ხორნაბუჯისა და ელიაზე იდგა წელი 1617, თვე მაისი, ყიზილბაშთა ნაზამთრალმა მშვიერმა ურდომ მესამედ გადმოლაზა მდ.იორი და ქიზიყს დააცხრა. შაჰ-აბაზს I-ის „ბრახის ცეცხლი ჯერ არ განელელებულიყო“ გურჯთა ურჩობის გამო. ლაშქრის ერთი ნაწილი ბოდბის შემოგარენს შეესია. მათ გაიყოლეს ლოლამეების უზბაშის ზამანბეგის დამსჯელი რაზმიც. უმთავრესი მხედრობა ციხე-ქალაქ ხორნა-

და, ვერც ერთი დიდი ხელმწიფე ვერ დაიპყრობდა. არ აღმოაჩნდა ეს წყარო ხორნაბუჯს. დამცინავი ხარხარით შეხვდნენ ქიზიყელები „ირანის მზის“ მუქარას. იოლად მოცულებს მოიერიშეთა რამოდენიმე მწკრივი, წინამძღოლი ჰყავდათ მამაცი სარდალი თამაზ ანდრონიკაშვილი სახალხო გმირი „თამაზ ქიზიყელად“ ცნობილი, აქვე იყო ბრძენი შერმაზან ქართველი, ისიც ანდრონიკაშვილი. სამი მსგეფსი ერკინებოდნენ შაჰის ლაზიები მეციხოვნეებს.

21 დღე ფრიალებდა თავისუფლების დროშა ზესთა გოდოლზე. ცბიერი იყო შაჰ-აბას I „უდაბნოს მელა“. ლტოლვილ ქართველებს: მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს განგებ უშვებდა ციხე სიმაგრეში. თამაზ ქიზიყელს დამცველები აკლდებოდა, დასაცავი კი ემატებოდა. მალე ფსკერამდე დავიდა წყლის აუზები. გამოცარიელდა საწყობები. ზამანბეგმა ორასამდე ტყვე მოიყვანა: ტანკენარი ასულები და უმწეო ბავშვები. ყველა მთავარ ჭიშკართან მორეკეს „უმეთვალყურეოდ“, ტიროდნენ ტყვეები, შველას ითხოვდნენ. ნუ შემოუშვებთო,- ამბობდა შერმაზან ქართველი: - ვერც მათ დავიცავთ, უკანასკნელ მარაგს კი დავკარგავთო. უკვე ერთი კვირა იყო, დღეში მხოლოდ მომცრო ფიალა წყალი ელეოდათ ციხიონთ.“ ჩვენ თვითონ ამოწვევით, მერე მტერს შევაკედეთო“ - მოითხოვდნენ კოლონოსა და ჭოეთის მამასახლისები.

ციხეში მყოფი იტალიელი პატრი ასეთ ამბავს მოყვა: „ვიკინგების გემი იძირებოდა. სიტყვა აიღო კაპიტანმა- „ძმებო“-თქვა მან.“ ნაევზე მხოლოდ ეკიპაჟის ნახევარი ეტევა. ვყაროთ კენჭი, ვისაც „სიცოცხლე“ შეხვდება, ნაევზე გადაჯდეს, ვისაც „სიკვდილი“- ეზიაროს და გემზე დარჩეს. ყველას დალუპვას ხომ სჯობია ერთი ნაწილის განირვა? ყარეს კენჭი ვიკინგებმა. „სიკვდილისჯიღებმა“ რაინდული შეძახილებით გააცილეს გადარჩენილები.

სდუმდა თამაზ ქიზიყელი, მართალი იყო პატრი, მაგრამ ციხეში ვიკინგები არ იდგნენ. ქართველობა ხომ მძიმე



ყელებმა. ყიზილბაშებს კასრებით მოჰქონდათ წყალი ალაზნიდან, საჯაროდ ღვრიდნენ, ერთმანეთს ანუნებდნენ, აღიზიანებდნენ მწყურვალე მცველებს. განგავით რეკდნენ წმინდა გიორგის ტაძრის ზარები. ამოად სთხოვდნენ შველას ბუნების ძალებს.

ოცდამეერთე დღეს ხორნაბუჯს „ქართლის ვალი“ ბაგრატ ხან ბაგრატიონი მოადგა. შაჰ-აბას I-ის ფირმანი მოიტანა: „ვისაც ქართლში გადასახლება გასურთ, ხელს არ შეგეშლით. შერმაზან ქართველს ებატია დანაშაული. თამაზ ქიზიყელთან კი, მესისხლეს სეფიანთა ტახტისა, ხმალმა უნდა გაგვასწოროს“.

ღრმად ჩაფიქრდა თამაზ ანდრონიკაშვილი. პირობა ურიგო როდი ჩანდა, მაგრამ სანდო კი იყო სისხლისმღვრელი „ირანის ლომი“? მიმოიხედა ირგვლივ, მდუმარედ იდგნენ მისი მამაცი თანამესანგრენი, მშვიდნი, წყურვილით გათანგულნი. მიხვდა სარდალი, აღიარებდა შაჰი დამარცხებას, დათმობაზე მიდიოდა, ერთი კვირაც და აიყრებოდა ძლევა-მოსილი ურდო“, სამარცხვინოდ გაიქცეოდა 100000 სარბაზი ხორნაბუჯიდან,

მოიტოვა მდევარი. შურისძიებით გულანთებული მიჰქროდა ქართველი მხედარი დედოფლისწყაროს ველზე. და უცებ... გახსნა ცამ პირი, კოკისპირული წვიმა წამოვიდა, თქეშმა კინაღამ ჩამოაქცია ხორნაბუჯის კედლები. წვიმის წვეთები სახეზე ეალერსებოდა ამხედრებულ მეომარს, ყურში იდუმალი ხმა ჩაესმა მხედარს: შენმა სიმამაცემ მომიბრუნა გული შენსკენ, შეჩერდი, დაისვენე, შესვი წყალი, ველარ დაგენევიან მტერნი შენნი.“

ატირდა ბოლმით თამაზ ყიზიყელი, შემოაბრუნა ცხენი, მიიჭრა წმინდა ელიას ხატთან, მახვილის დარტყმით შაუზე გააპო და ძალაგამოცლილი პირქვე დაეცა. ხატის ძალამ კლდის ნატეხივით ისროლაო კაციცა და ცხენიც უფსკრულში-ამბობენ, ახლაც აგდია მთის ძირში უზარმაზარი ლოდი, თამაზ ქიზიყელი, ხატის რისხვით გაქვავებული.

მასალა მოამზადა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა ლალი ბასილაშვილმა







# რედაქციაში წერილი შემოვიდა

## ეს ჩვენი სახეა

რედაქციაში წერილი მოვიდა: - „მოგესალმებით, ქალბატონო ნაირა. მე მინდა, რომ ერთ პრობლემაზე დაწეროთ სტატია. „ჯვარისწყლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის ორივე მხარეს მდებარე სანიაღვრე არხები ნაგვის ბუდედ არის გადა-

ლის ქუჩას ვენციეთ. იქ იმაზე მეტი „სანახაობა“ დაგვხვდა, ვიდრე წერილში იყო აღწერილი. სანიაღვრე არხები ქუჩის თავიდან იწყება და პუშკინის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორამდე მოდის. აქ ყველაფერს ამკარად ეტყობა, რომ ადამიანის ხელი,

განცდის გარეშე ვისვრით აქეთ-იქეთ. ამიტომ ამ არხებშიც მრავლად ყრია პლასტმასის ბოთლები, სხვადასხვა სასმელისგან დარჩენილი თუნუქის ცარიელი ქილები, ცელოფანის პარკები, მატერის ნაგლეჯები. ეს ყველაფერი წვიმის დროს წყლისგან

საინტერესოა, თავის დროზე პროექტი დასრულებულად როგორ ჩათვალეს და ექსპლოატაციაში როგორ გაუმეგეს, როცა ასეთი თვალშისაცემი ხარვეზი არსებობდა. უნდა ვთქვა, რომ ამ ადგილზე, გზის მეორე მხარეს კაპიტალურად და სტანდარტების ნორმების დაცვით გაკეთებული ღვარსაშვები ბოგირია დამონტაჟებული. ანალოგიური ბოგირის გაკეთება საჭირო ლექსილი - ბარათაშვილის ქუჩების კვეთაზეც. ამით, განმედილი სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, სანიაღვრე არხები თავის ფუნქციას დამაკმაყოფილებლად შეასრულებს. წერილის ავტორ გიორგი ხაჩიაშვილთან ერთად ჩვენც გამოვთქვამთ იმედს, რომ შესაბამისი სამსახური ყურადღებას მიაქცევს ამ პრობლემას და გამოსასწორებს მას. მით უმეტეს, რომ მას დიდი ფინანსური ხარჯები არ სჭირდება. რედაქცია ელოდება გამოხმაურებას.

ზემოთაც ვთქვი და არ შემიძლია, კიდევ არ გავამახვილო ყურადღება ჩვენს მოქალაქეობრივ შეგნებაზე - ვერა და

ბავშვებზეც კი უნდა იცოდეს, რომ გარემო არ დაანაგვიანოს და არ მესმის, ზრდასრულ ადამიანს რატომ უნდა სჭირდებოდეს სხვისი მითითება?!

ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარეობს ჩვენი რაიონის სავიზიტო ბარათის ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ოფისი და ავტოსადგომი. აქედან გამომდინარე, ამ ტერიტორიაზე შიშობა მოძრაობენ ტურისტები, რომლებიც აქ გამეფებულ ჭუჭყს, სიბინძურეს და მოუწესრიგებლობას ყოველდღიურად უყურებენ, რაც ძალიან დიდი სირცხვილია. ამ ფიქრებით გულდამძიმებულმა დავტოვე ბარათაშვილის ქუჩა და ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩით სახლისკენ გავემართე. ჰერეთის ქუჩის ერთ მხარესაც სანიაღვრე არხია დამონტაჟებული. აქაც ანალოგიური მდგომარეობაა: ბალახით გადაფარული და მიშლამული არხიდან წვიმის დროს ჭუჭყიანი წყალი სავალ ნაწილზე გადმოდის. არიან მაცხოვრებლები, რომლებიც თავისი ჭიშკრის მიმდებარე ტერიტორიაზე არხს ასუფთავებენ, მაგრამ ეს საქმეს



ქცული. იქ ფეხით გავლა უსიამოვნოა, ისეთი სუნი დგას. ეს არხები, თავიდან ბოლომდე, ამოსუფთავება-რეაბილიტაციას საჭიროებს. იმედი მაქვს, ჩემს მიერ დაყენებულ პრობლემაზე დაწეროთ თქვენს გაზეთში, რასაც რეაგირება მოჰყვება რაიონის შესაბამისი სამსახურებიდან. წინასწარ გიხდით მადლობას.



P.S. წერილს, ფაქტის დასადასტურებლად, თუ ფოტოებსაც დაურთავთ, კარგი იქნება!

**პატივისცემით,** თქვენი ერთგული მკითხველი ბიძი ბარათაშვილი.

2018 წლის 26 აგვისტო.

წერილში მოყვანილი ფაქტის გადასამოწმებლად ბარათაშვი-

სასიკეთოდ, დიდი ხანია, არ შეგებია. ორივე მხარეს არხები ბალახითაა გადაბურული, შიგათასი რამ ყრია. ჩვენი მოქალაქეობრივი კულტურა ხომ საკუთარ ეზოს არ სცილდება და ქუჩაში მიმავალი, ვისაც რა მოგვეხედებოდა, დაუფიქრებლად და ყოველგვარი უხერხულობის

მიწასა და ხრეშთან ერთად მიშლამულია იმ გამტარ მილებთან, რომელიც ჩანყოფილია მოქალაქეთა ჭიშკრებთან შესასვლელში. ზემოთ, სადაც უფრო მეტი დაქანება აქვს ქუჩას, წყლისგან არხები ჩამორეცხილი და შედარებით სუფთაა, გაგვკებულ ადგილზე კი მდგომარეობა უფრო მძიმეა. ბალახითა და ნაგვით გამოვსებულ წყალგამტარ მილებში წვიმის დროს წყალი ვერ გადის, გადმოდის სავალ ნაწილზე და იტბორება. იმ ადგილზე კი, სადაც ლესელიძის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩას უერთდება, წარმოუდგენელი რამ ვნახე: აქ მოზიდულ ნაგავს და წყალს გასასვლელი არ აქვს, რადგან მიწა საერთოდ არ არის გათხრილი და არცრანარი ღვარსაშვები არ არის დამონტაჟებული. ამიტომ წყალი გადმოდის და ლესელიძის ქუჩისკენ მიემართება.

ვერ გავითავსებ, რომ ქუჩაც, სკვერიც, ბაღიც და ტროტუარიც ისევე გვეკუთვნის ჩვენ, როგორც ჩვენი ეზო-კარმიდამო და ისევე უნდა მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ, როგორც საკუთარს. ისევ ბარათაშვილის ქუჩაზე ვიყავ, როდესაც ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმავალი ქალბატონმა მშვიდად ჩაუარა სანაგვე ურნას და, სულ ათიოდე მეტრში, ქუჩაში მოსროლა ცელოფანის პარკი. ამ საქციელის გამო მას იქვე არსებული ვეტერინარული პუნქტიდან გურამ მისაძევილი გამოეხმაურა, შენიშვნა მისცა და მოუწონა, პარკი აეღო და იქვე მდგარ სანაგვე ურნაში ჩაეგდო. ქალი შეჩერდა, დაიხნა, თითქოს ვერც კი გაცნობიერა თავისი დანაშაული, მერე მიბრუნდა, აილო პარკი და უსიტყვოდ ჩააგდო ურნაში. ჯერ

არ შევლის, რადგან ბევრი მიტოვებული სახლის წინ არავინ ასუფთავებს. ჰერეთის ქუჩაზე მიმავალი მუშა გორა სისხამილი ვნახე, რომელიც სწორედ სანიაღვრე არხს ასუფთავებდა. ვკითხე, ვინ დაგავალა-მეთქი? გულიკო დეიდაძე, - მიპასუხა. ცნობილი ექიმის გულნარა პოპიაშვილის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება ცნობილია ჩვენითვის. სწორედ რომ ღირსეულად მიენიჭა მას რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება. კარგი იქნება, თუ ასეთი ადამიანებისგან ავიღებთ მაგალითს. თუმცა, მინდა, შესაბამის სამსახურს მოვუწოდო, რომ მხოლოდ ადამიანების იმედად ვერ ვიქნებით და რომ ქალაქის სისუფთავეს მეტი ყურადღება სჭირდება.

**ულოცავენ!**  
**მარინა მოლაშვილს!**

ჩვენს უსაყვარლეს ქალბატონს, ბრწყინვალე მეუღლეს, მზრუნველ დედასა და ბებოს, ჩვენთვის დასაბეგობარს, ყველას ლხინისა და ჭირის გამზიარებელს, ვულოცავთ 1 სექტემბერს დაბადების დღეს და ვუსურვებთ

უფლისგან ნაბოძები დარჩენილი წლები ჯანმრთელოდ და ბედნიერად გაეტარებინოს.

„სულით ლამაზი ხარ, სხით მშვენიერი, არასდროს არ დაგთმობთ წუთით, წამიერით, გვინდა, რომ გიხილოთ მუდამ ბედნიერი გზაზე უფალი და მამა ზეციერი!“

დიდი სიყვარულით და პატივისცემით: ცისია პაპუაშვილი, მარია გონაშვილი, ზიზი ყოჩიაშვილი.

**ყურადღება!**

იყიდება ან ქირავდება ანკობილი ბიზნესი კაფე-რესტორანი „დავით“ დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №13. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ ნომერზე: ☎ 577-34-55-39

„ალმა-მატერის“ პროფესორი მოამზადებს აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, წერეთლის №5. ☎ 591 050 865; 574 207 230.

**ყურადღება!**

იყიდება 1 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა პირველ ბალკაზე. მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 557 500 805

**იყიდება!**

სასწრაფოდ იყიდება 2,5 ოთახიანი ბინა ჰერეთის ქუჩაზე კორპუსში, III-ე სართულზე, (ირინას კაფის თავზე). მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 593 53 24 64; 599 39 80 68. ფასი შეთანხმებით.

**იყიდება ან იხვლება!**

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იხვლება კერძო სახლზე. მისამართი: რუსთაველის ქ. №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომობილის მაღაზია. ☎ 555 23 26 80 ეკატერინე, ფასი შეთანხმებით.

**შაკანსია**

**გაზეთი „შირაჰი“ იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.**

აუცილებელი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);
- ქართული ენის სამეცნიერო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;
- სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.

გთხოვთ, გამოგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com , ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაჰის“ რედაქციაში.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18

ამინდი		დედოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 03.09	სამშაბათი 04.09	ოთხშაბათი 05.09	ხუთშაბათი 06.09	პარასკევი 07.09	შაბათი 08.09	კვირა 09.09	დღე	ღამე	დღე
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☀	☀	☀	☀	☀	☀	☀	☀	☀	☀
23°	20°	20°	16°	20°	16°	20°	16°	21°	18°
☀	☀	☀	☀	☀	☀	☀	☀	☀	☀
23°	20°	20°	16°	20°	16°	20°	16°	21°	18°

გამომცემელი შპს „შირაჰი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილი ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწიფევერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწიფევერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჰის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)  
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.